თამაზ ვარვარიძე

სოფიო კინწურაშვილი

გურამ ციბაჩაშვილი

გალერეა TMS Art Gallery

TAMAZ VARVARIDZE

SOPHIE KINTSURASHVILI

GURAM CIBACHASCHVILI

Tbilisi 1996

DESIGNED BY: Tamaz VARVARIDZE
Sophie KINTSURASHVILI
COMPUTER DESIGN BY: David SULAKVELIDZE
PHOTOGRAPS: Guram CIBACHASCHVILI
GEORGIAN AND ENGLISH TEXTS BY: Shalva KIPSHIDZE

DESIGNED AND PRINTED IN Calamus Graphic Studio

STESSANDRA MODERN ART CENTRE

გამოფენა გაიხსნება 16 ოქტომბერს,
დღის 2 საათზე გალერეა **TMS**-ში,
რუსთაველის გამზ. №16

Agency: Modern Art Centre *Tessandra*
18/1 Griboedov St. Tbilisi, 380 079, Georgia
Tel/Fax: (00 995 32) 98 25 14
Email: mulders@tessandr.pvt.ge

თანამედროვე ხელოვნების ცენტრი ***თესანდრა*** გალერეა TMS–თან ერთად წარმოადგენს სამი ქართველი მხატვრის თამაზ ვარვარიძის, სოფიო კინწურაშვილის და გურამ წიბახაშვილის გამოფენას. ერთობლივი გამოფენა, რომელიც თანამედროვე ხელოვნების ცენტრ ***თესანდრას*** უშუალო მხარდაჭერით შედგა, ცენტრის პირველ დიდ გამოფენა–მანიფესტაციას წარმოადგენს. ექსპოზიციის იდეა მხატვრების ერთობლივი დიდი ხნის ჩანაფიქრის რეალიზაციაა.

თამაზ ვარვარიძე, მეტაფიზიკური მიმართების მქონე მხატვარი, რომლის ძირითად მისწრაფებას გრაფიკულ ნამუშევრებში შემეცნებისა და გრძნობის მენტალური წყობის ძიება წარმოადგენს, ექსპოზიციაზე წარმოდგენილია ძირითადად საგნობრივი ობიექტებით. ვარვარიძის ცენტრალურ ნამუშევარს ამ გამოფენაზე წარმოადგენს „ქალი“, კონცეპტუალური აზროვნების ობიექტი, რომელიც თავის არსში ყოველდღიური მოხმარების საგანთა პერიპეტიული გადანაცვლება–გადაწყობის მოტივებს შეიცავს. ბალერინას გრაციოზული ფიგურა დიასახლისის მოხმარების საგნების სიმძიმის ქვეშ მიანიშნებს



ვარვარიძის კონცეპტუალურად შეცვალოს ხედვა პლაკატიდან (ეს პროექტი პირველად შესრულდა 1970–იანი წლების ბოლოს) ობიექტისაკენ და თავისებური ცვლილებები შეიტანოს თავის შემოქმედებრივ პერცეფციაში.



სოფიო კინწურაშვილის ძირითადი ობიექტი ამ გამოფენაზე „მე ვარ“ საკმაოდ ახლოს დგას მხატვრის ნაწილობრივ ფიგურატიულ აბსტრაქციებთან. „მე ვარ“ წარმოადგენს მხატვრის სწრაფვას გადაიტანოს თავისი ნამუშევრები სიბრტყიდან სამგანზომილებიან სივრცეში. საგანთა, როგორც სხეულის ნაწილთა (და არა როგორც უბრალო პორტრეტთა) გადაწყობა–გადაადგილება სარკის მეშვეობით წარმოადგენს კლეინისეული „ნაწილობრივ ობიექტთა“ აზროვნების თეორიის მაგალითს. ამ ნამუშევარში წარმოდგენილი სხვადასხვა თავები ერთი აბსტრაქტული ინდივიდის სხვადასხვა მენტალურ მდგომარეობას გამოსახავს და პიროვნების აღქმის მრავალფეროვნებაზე მიანიშნებს.

გურამ წიბახაშვილი, პროფესიონალი ფოტოგრაფი და ხელოვანი, წარმოადგენს თავის ობიექტებს როგორც ურთიერთობას ფეტიშსა და არა–ფეტიშს შორის და ყურადღებას ამახვილებს საგანთა ღირებულებაზე. წიბახაშვილის მიერ შემოთავაზებული ობიექტები წითლად შეღებილი ყუთების სახით, რომელთაც გარეგანი ღირებულება არ გააჩნიათ, წარმოადგენენ ძიებას ღირებულებათა სანდო და-არასანდო წყაროებისათვის. ერთ–ერთ ძირითად ყუთზე გამოსახულია ფოტო ღამის ლამპითა და მის მიერ განათებული ქუჩის ნაწილით და შემდეგ გადაღებილია წითელი საღებავით, რითაც მხატვარს სურს მიანიჭოს ანდა გაზარდოს საგნის ღირებულება.

შალვა ყიფშიძე
თანამედროვე ხელოვნების ცენტრი ***თესანდრა***

The Modern Art Centre ***Tessandra*** in association with TMS Gallery introduces the exhibition of the three Georgian Artists Tamaz Varvaridze, Sophie Kintsurashvili and Guram Cibachashvili. This collaborative work supported by the Modern Art Centre ***Tessandra*** is the first big exhibition-manifestation of the Centre.

Tamaz Varvaridze, the artist of a metaphysical plan, whos main concern in his graphic works is establishing of a mental order of the feelings and perception, at this exhibition is presented mainly by objects. Varvaridze's main work for this exhibition ***Woman*** represents an object of conceptual thinking with an eye on perpetual arrangement of things of everyday life. In the display of ballerina's figure in a state of grace, under press of the usual tools of the usual housewife, Varvaridze is trying to conceptually change his view through poster (this project was created as a poster in late 1970s) to an object and somehow rearrange his perceptional abilities.

Sophie Kintsurashvili's ***I Am*** stands not so far from her "usual" part-object abstract paintings. It represents a try to move her oeuvre from the walls and two dimensional to the space and three dimensional art. Concepts of rearrangement of the things as body parts rather than usual portraits with the help of the mirror represents a perfect example of the part object thinking (Kleinian theory). All the different heads seen in an object are the parts of the one abstract individuality and its/others perception of "him".

Guram Cibachashvili, proffessional art photographer, represents his (photo) objects as relation between the icon and fetish and the non-icon and non-fetish. Objects, presented by Cibachashvili in a form of the boxes without value itself are the samples of his concern on reliable or non-reliable human values. One of the man boxes of this series represents a photo of the night lamp and the part of the street in light of it. Photo is painted in red and thus the author is trying to give (rise) the value of the thing presented.

Shalva Kipshidze,
MA Art Historian (Modern Art Centre ***Tessandra***)